სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

04 სექტემბერი 2025

N 476/ს

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

,,ქ. რუსთავში, შპს „ფერო ელოის ფროდაქშენის“ ფეროშენადნობების საწარმოს ექსპლუატაციის პირობების შეცვლისა და საწარმოში დამატებითი ტექნოლოგიური ხაზის (აგლომერაციის საწარმოს) მოწყობასა და ექსპლუატაციაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ” სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს 2023 წლის 13 იანვრის N12/ს ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს 2023 წლის 13 იანვრის N12/ს ბრძანებით, ქ. რუსთავში, შპს „ფერო ელოის ფროდაქშენის“ ფეროშენადნობების საწარმოს ექსპლუატაციის პირობების შეცვლისა და საწარმოში დამატებითი ტექნოლოგიური ხაზის (აგლომერაციის საწარმოს) მოწყობასა და ექსპლუატაციაზე გაიცა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება. 2025 წლის 6 თებერვალს გამოიცა სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს N59/ს ბრძანება ,,ქ. რუსთავში, შპს ,,ფერო ელოის ფროდაქშენის“ ფეროშენადნობთა საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ“, რომელიც წარმოადგენს N12/ს ბრძანების ექსპლუატაციის პირობების ცვლილებას.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. „ძალადაკარგულად გამოცხადდეს ,,ქ. რუსთავში, შპს „ფერო ელოის ფროდაქშენის“ ფეროშენადნობების საწარმოს ექსპლუატაციის პირობების შეცვლისა და საწარმოში დამატებითი ტექნოლოგიური ხაზის (აგლომერაციის საწარმოს) მოწყობასა და ექსპლუატაციაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ” სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს 2023 წლის 13 იანვრის N12/ს ბრძანება;
2. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „ფერო ელოის ფროდაქშენს“;
3. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ფერო ელოის ფროდაქშენის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
4. ბრძანების გამოცემიდან 5 დღის ვადაში აღნიშნული ბრძანება განთავსდეს გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალსა და რუსთავისა და გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, N64) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

თამარ შარაშიძე

სააგენტოს უფროსი - მ.შ.

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

https://edocument.ge/mea/public/#/476-21-4-202509041547